პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 მარტი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 44 (9711) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვრთნელი — ცენტრალური ფიგურა

ერთი ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ, სპორტში ცენტრალური ფიგურა მწვრთნელია. არც ის იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ დღეს ძნელად მოიძებნება ისეთი სპეციალობა, რომელიც ერთნაირად მოითხოვდეს არა მარტო ერთი კონკრეტული საქმის ღრმა ცოდნას, არამედ იმასაც, რომ მწვრთნელი კარგად ერკვეოდეს მედიცინაში, ფიზიოლოგიაში, ბიოლოგიაში, ანატომიაში, იყოს პედაგოგი და ფსიქოლოგი, აღარაფერს ვამბობთ კიდევ ბევრ მონათესავე მეცნიერებებზე, რომელთა გარეშეც აღარ არსებობს დიდი სპორტი და, მაშასადამე, დიდი მწვრთნელი. რაც უფრო ღრმად იცნობს მწვრთნელი მონათესავე სპეციალობებს, მით უფრო უადვილებს აღსაზრდელებს დიდი სპორტული მწვერვალებისკენ მიმავალ გზას. მწვრთნელის პიროვნულ ღირსებებზე და თვისებებზე დიდადაა დამოკიდებული საერთო ატმოსფერო კოლექტივში. ღრმად განსწავლული და თავისი საქმის კარგად მცოდნე სპეციალისტისა ხჯერათ როგორც აღსაზრდელებს, ისე საზოგადოებრიობას. ქართული სპორტის ისტორია არაერთ შესანიშნავ პიროვნებას იცნობს, რომელთა ცხოვრება და ღვაწლი მუდამ სამაგალითოდ გამოადგებათ თაობებს. სხვადასხვა დროს დიდად დავუზარალებივართ მწვრთნელებისადმი უნდობლობას, ვიყოთ გულახდილი, ბევრი კარგი მუშაკი უნიჭო კოლეგების შურისა და ვაისპეციალისტების მსხვერპლიც კი გამხდარა, კადრებისადმი ამგვარი დამოკიდებულება სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს ჩვენი სპორტული ცხოვრებიდან, რომ ღირსეულმა ადამიანებმა მეტი და სრული სარგებლობა მოუტანონ ჩვენს სპორტს.

დღესაც ბევრი გვყავს საქმისთვის თავდადებული, ქართული სპორტის ინტერესებით გამსჭვალული მწვრთნელი. ისინი სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები არიან, მაგრამ მთელ ცოდნას და ენერგიას ახმარენ ჩვენს სპორტს. დავასახელოთ თუნდაც ნელი სალაძე, ლევან მოსეშვილი, იური გუტიაკულოვი, თენგიზ ხუდოევი, სხვები და სხვები. ჩვენი ფეხბურთის უპირველეს გუნდს სათავეში უდგას ცნობილი სპეციალისტი გერმან ზონინი, კაცი, რომელიც ღრმადაა დაინტერესებული არა მხოლოდ „დინამოს" ბედით, არამედ საერთოდ ქართული ფეხბურთის დღევანდელი და ხვალინდელი დღით. ამიტომაც მუდამ მზადაა დაეხმაროს და ეხმარება კიდეც სხვა გუნდებთან მომუშავე სპეციალისტებს.

რაკი სიტყვა ფეხბურთზე ჩამოვარდა და ახალი საფეხბურთო სეზონიც კარს მოგვადგა, ვიტყვით, რომ დინამოელთა ხელმძღვანელების, პირადად მისი უფროსი მწვრთნელის გ. ზონინის ზრუნვა ქართული ფეხბურთისათვის ჩვენი, საზოგადოებრიობის და სპეციალისტების დახმარებითაც უნდა იყოს განმტკიცებული. საჭაროობის პირობებში დაუნდობელი უნდა ვიყოთ მათ მიმართ, ვინც დემაგოგიას ეწევა, ვისაც პირადი ამბიციები დაუყენებია ყველაზე მაღლა, თავს გვაჩვენებს თავგადადებულ პატრიოტად, მიაჩნია, რომ მხოლოდ მისი აზრი და შეხედულებაა სწორი და მისაღები.

არ დავმალავთ, დინამოელთა ირგვლივ კვლავ ტრიალებენ საეჭვო პირები, ისინი მწვრთნელებსაც ხელს უშლიან მუშაობაში. ამას წინათ დიღომში „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე ვეწვიეთ გუნდის ხელმძღვანელებს, ერთმა უცნობმა, ისე, რომ არც დაინტერესებულა, ვინ ვიყავით, გვერდზე გაგვიხმო და კატეგორიულად მოგვთხოვა, არაფერი დაუჯეროთ დინამოელთა მწვრთნელებსო... აი, ზოგჯერ სადამდე მიდის საქმე. ასეთ, ნურც ამის თქმას მოვერიდებით, ინტრიგებს, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ზიანი მოაქვს.

მწვრთნელებს უნდა ვენდოთ, მწვრთნელებს უნდა დავეხმაროთ, მწვრთნელია სპორტში მთავარი ფიგურა.

# საქართველომ დაიმსახურა...

ნანა იოსელიანს იღბლიან ადამიანთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ, ერთი ხელის მოსმით რომ აღწევენ ცხოვრების მთავარ მიზანს. რამდენ ხანს ელოდა იგი ამ წუთს...

ნანამ პირველად ამ ცხრა წლის წინ მიიღო მონაწილეობა რიო-დე-ჟანეიროს საზონათშორისო ტურნირში და ტრიუმფით დაამთავრა შეჯიბრება. ამის შემდეგ მან პრეტენდენტთა ფინალურ მატჩამდე გაიკვლია გზა და მხოლოდ ფინალში ნანა ალექსანდრიასთან შეხვედრაში მოეცარა ხელი.

1983 წელს იოსელიანმა პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ყოვლად გაუგებარი და ყველასთვის მოულოდნელი მარცხი იწვნია კიეველ ლიდია სემიონოვასგან.

1985 წელს ჰავანის საზონათშორისო ტურნირში ნანამ III-V ადგილები გაიყო, მაგრამ სტოკჰოლმში მოწყობილ დამატებით მატჩ-ტურნირში II ადგილი დაიკავა და შემდგომ ბრძოლას გამოეთიშა.

დაგვეთანხმებით, ამ ნიჭიერი მოჭადრაკისთვის მართლაც უიღბლო სერიაა. მაგრამ ამ ცხრა წლიწადს ფუჭად მაინც არ ჩაუვლია — ნანა იოსელიანმა დიდი გამოცდილება შეიძინა, მოიგო ორი საჭადრაკო ოლიმპიადა, საბჭოთა კავშირის ოთხი ჩემპიონატი, მრავალი ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირი და აი, დღეს მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის ერთადერთი პრეტენდენტია. ამ ტიტულს იგი წელს შემოდგომაზე შეეცილება მაია ჩიბურდანიძეს. თუ როგორ მოიპოვა ნანა იოსელიანმა ეს უფლება, „ლელოს" მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, მათ მთელი თვის მანძილზე შესაძლებლობა ჰქონდათ თვალი ედევნებინათ ჯერ წყალტუბოს პრეტენდენტთა ტურნირისთვის, რომელშიც იოსელიანმა და ელენა ახმილოვსკაიამ I-II ადგილები გაიყვეს, ხოლო შემდეგ — ამ ორ დიდოსტატს შორის მოწყობილი დამატებითი მატჩისთვის, რომელიც ნანა იოსელიანის გამარჯვებით დამთავრდა.



**⊙ უკვე სამი თვე გავიდა, რაც თქვენ მეოთხედ მოიპოვეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. შეიცვალა რაიმე ამ ხნის მანძილზე?**



— ბევრი არაფერი. მაშინ უბრალოდ ერთ-ერთი პრეტენდენტი ვიყავი, ახლა კი ერთადერთი ვარ. რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, მაგრამ მეტისმეტად დაძაბული ვარ.

**⊙ გეშინიათ?**

— არა, ბავშვობიდან მოყოლებული ჩემი ყველა მწვრთნელის დამსახურებაა ალბათ ის, რომ ბრძოლის, მეტოქის არ მეშინია. მხოლოდ საკუთარი თავის მეშინია, ვღელავ იმიტომ, რომ მესმის, რა მძიმე მატჩი მომელის. მსოფლიო ჩემპიონთა შეხვედრისთვის მოსამზადებელ პერიოდში არც ერთი წვრილმანი არ უნდა გამომრჩეს. არ მინდა ბოლოს ვინანო — აი, ამიტომ და ამიტომ წავაგე მატჩიო.

**⊙ გჯერათ გამარჯვებისა?**

— მოგება ყველასთან შეიძლება, დაუძლეველი არავინაა, გადაულახავი ზღუდე არ არსებობს. მე ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რომ რთული, სერიოზული, დაძაბული ბრძოლა მომელის. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით.

**⊙ მანამდე კი თავაუღებელი შრომა გელით...**

— უდავოდ, ყოველი დღე, ყოველი საათი უნდა დავგეგმო, ფუჭად რომ არ ჩაიაროს.

**⊙ ეს მომავლის საქმეა, ახლა კი წარსულს დავუბრუნდეთ. წყალტუბოს ტურნირისა და მატჩის შესახებ გვიამბეთ, თუ შეიძლება.**

— ჩემს ცხოვრებაში ეს იყო ყველაზე ნერვიული პრეტენდენტთა ტურნირი. ასეთი ძლიერი შემადგენლობაც, ალბათ, არც ერთ მსგავს შეჯიბრებაში არ ყოფილა. მეამაყება, რომ I წრის შემდეგ, როცა თითქოსდა უიმედო მდგომარეობაში ვიყავი, ძალ-ღონე მოვიკრიბე და შავი ფიგურებით ორი პრინციპული, გადამწყვეტი პარტია მოვიგე ლიდერებთან — ელენა ახმილოვსკაიასა და მარტა ლიტინსკაიასთან. შეიძლება თამამად ითქვას, სწორედ ამ ორმა გამარჯვებამ მომცა საშუალება დამატებით მატჩში მებრძოლა ახმილოვსკაიასთან.

**⊙ ვიცი, ბევრი მოჭადრაკე ქალი წინააღმდეგია იმისა, რომ მხოლოდ პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებული იღებს მსოფლიო ჩე-**

იხ. მე-3 გვ.

# ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფება ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი შვეციის „გეტებორგი". 3 მარტს რუსთავში „მეტალურგის" სტადიონზე თბილისის დინამოელები შვედ ფეხბურთელებთან სეზონის წინა საწვრთნელ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. შეხვედრა 17 საათზე დაიწყება.

5 მარტს იმავე სტადიონზე „გეტებორგი" რუსთავის „მეტალურგს" შეხვდება.

# „გეტებორგი" — ჩვენი სტუმარი

კარგა ხანია, თბილისს ესოდენ სახელგანთქმული საზღვარგარეთული საფეხბურთო კლუბი არა სწვევია. თავიდანვე ვიტყვით — „გეტებორგი" პრესტიჟული პრიზის უეფა-ს თასის ორგზის მფლობელია. ამ შეჯიბრებაში შვედებზე მეტი წარმატება მხოლოდ ერთ გუნდს — „ბარსელონას" აქვს მოპოვებული, რომელიც სამჯერ დაეუფლა უეფა-ს თასს.

„გეტებორგი" (სრული სახელია „გეტებორგ იდროტსფერენინგენ კამრატერნა" — „გეტებორგის სპორტულ საზოგადოებათა კავშირი") 1895 წელს დაარსდა. იგი შვეციის ათგზის ჩემპიონი (1908, 1910, 1918, 1935, 1942, 1958, 1969, 1982, 1983, 1984 წლებში) და მრავალგზის პრიზიორია, ქვეყნის თასის სამგზის (1979, 1982, 1983) მფლობელი.

ყველაზე მეტად გუნდს სახელი გაუთქვა სხვადასხვა ევროპულ შეჯიბრებებში მონაწილეობამ. 1982 წელს იგი მწვრთნელ გეორგ ერიქსონის ხელმძღვანელობით უეფა-ს თასს დაეუფლა, ფინალურ მატჩებში სძლია „ჰამბურგერ შპორტფერაინს" ჯერ შინ — 1:0, შემდეგ კი ჰამბურგში — 3:0! მართალია, ამ ტრიუმფს „გეტებორგისათვის", ერთის მხრივ, სავალალო შედეგი მოჰყვა — უცხოეთის კლუბებმა გადაიბირეს მისი მწვრთნელი და ექვსი (!) ძირითადი მოთამაშე 1986 წელს „გეტებორგი" მაინც გავიდა ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში.

შარშან შვედების კლუბმა, რომლის შემადგენლობაში 1982 წელს უეფა-ს თასში გამარჯვებულთაგან მხოლოდ 5 ფეხბურთელი დარჩა, ამ შეჯიბრებაში კვლავ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია. იგი ფინალში გავიდა, სადაც სძლია „დანდი იუნაიტედს" (შოტლანდია) — 1:0, 1:1. საინტერესოა, რომ უეფა-ს თასებზე შვედებმა ზედიზედ 24 მატჩი დაუმარცხებლად ჩაატარეს.

ამ ფინალურ შეხვედრებში „გეტებორგი" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: მეკარე თომას ვერნერსონი (დაიბ. 1955 წ. 12 მატჩ. ნაკრებში); დაცვა — ჯერი კარლსონი (1953), გლენ ჰიუსენი (კაპიტანი, 1959, 41 მატჩი ნაკრებში), პეტერ ლარსონი (1961, 13 მატჩი ნაკრებში), სტიგ ფრედრიკსონი (1956, 55 მატჩი ნაკრებში), შუა ხაზი — მაგნუს იუჰანსონი (1964), რომელიც მეორე მატჩში (და პირველი მატჩის მეორე ნახევარში) როლანდ ნილსონმა (1963, 6 მატჩი ნაკრებში) შეცვალა, ტორდ ჰოლმსგრენი (1957, 27 მატჩი ნაკრებში), მიხაელ ანდერსონი (1958, 14 მატჩი ნაკრებში), ტომი ჰოლმსგრენი (1959, 25 მატჩი ნაკრებში), თავდამსხმელები: სტეფან პეტერსონი (1963, 4 მატჩი ნაკრებში) და ლენარტ ნილსონი (1961, ერთი მატჩი ნაკრებში).

გუნდს ხელმძღვანელობდა გუნდერ ბენგტსონი. 1982 წელს იგი გეორგ ერიქსონის ასისტენტი იყო, როცა „გეტებორგმა" პირველად მოიპოვა უეფა-ს თასი. ეს სპეციალისტი ახლაც წვრთნის შვედების გუნდს. როგორც მოსალოდნელი იყო, შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ გუნდმა დანაკლისი განიცადა: მისი უძლიერესი მოთამაშე, კაპიტანი ჰიუსენი „ფიორენტინაში" ჩაირიცხა. ჯერ კიდევ ამ ფინალურ მატჩებამდე თავდამსხმელი ჯონი ექსტრიომიც იტალიაში, კლუბ „ემპოლიში" გადავიდა, იმ ქვეყანაში, სადაც ოდესღაც გამოდიოდა გუნარ გრენი, რომელიც „გეტებორგში" ყველა დროის მოთამაშეთაგან უძლიერესად ითვლება.

შვეციაში ჩემპიონატი აპრილში იწყება და ნოემბერში მთავრდება. აქ პირველ (ჩვენებურად — უმაღლეს) ლიგაში 12 გუნდი თამაშობს. შარშან „გეტებორგს" პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ფაქტიურად მონაწილეობა არ მიუღია, იგი მესამეს დასჯერდა (22 თამაშიდან 26 ქულა).

**გივი თორელი.**



საქართველოში ბალახის ჰოკეის ადგილის დედად ქუთაისი ითვლება. სპორტის ამ სახეობის დანერგვა პირველად სწორედ ამ ქალაქში დაიწყეს და რესპუბლიკის პირველი ნაკრები გუნდიც იქ ჩამოყალიბდა. ქუთათურებს დამსახურება იმითაც დაუფასდათ, რომ ამიერიდან ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაციის ადგილსამყოფელიც ქუთაისი იქნება. (იხ. მე-3 გვ.).

ს უ რ ა თ ზ ე: ქუთაისელ ბალახის ჰოკეისტთა გუნდი ვარჯიშზე.

თემურ ჭავახაძის ფოტო.

# გულშემატკივრების დაბრუნება

**გუნდურ ჩათვლაში, რა თქმა უნდა, ბათუმელებმა გაიმარჯვეს, სოხუმელთა მეორე და ფოთელთა მესამე ადგილებიც არ იყო მოულოდნელი, ბოლო, მეოთხე ადგილს კი დიდი ხანია თავისი „პატრონი“ ჰყავს — თბილისის გუნდი. მართალია, პირად ჩათვლაში მოასპარეზენი მეტ-ნაკლებად „მოძრაობენ“, მაგრამ აქაც ნაცნობი სურათი ვიხილეთ — წლიდან წლამდე ფავორიტები არ იცვლებიან: ისევ ვ. კოლოსოვი, მ. კილასონია, მიტროფანოვა-ობედკოვას წყვილი, პ. გოგიჩაიშვილი, რ. გვათუა და სხვები.**

**ერთი სიტყვით, ახლახან ფოთში გამართულ საქართველოს თასის გათამაშებას აფროსნობაში ძალთა დიდი ხნის თანაფარდობა არ დაურღვევია, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ შეჯიბრების შედეგების ნაცვლად ჩვენი აფროსნობის დღევანდელი მდგომარეობა და ხვალინდელი პერსპექტივები გაგაცნოთ. ეს გადაწყვეტილება იმით უფრო ნაკარნახევი, რომ ახლახან რესპუბლიკის სპორტსახკომმა მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება საქართველოში აფროსნობის მდგომარეობისა და ამ სახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.**

„უმაყურებლო“ სპორტის სახეობის წარმომადგენლებმა მაყურებლის მომრავლებაზე უკეთესი რა უნდა ინატრონ?

ალპინისტებისა არ იყოს, საათობით ზღვაში გასული აფროსნებიც ვერ დაიტრაბახებენ, ფართო აუდიტორია გვყავსო — მსაჯები, მწვრთნელები, სპეციალისტები და რამდენიმე მოხალისე, — აი, ჩვეულებრივ, ვინ ადევნებს თვალს საიალქნო რეგატებს. მაგრამ ბოლო დრომდე ჩვენი აფროსნები საპირისპიროს ამტკიცებდნენ — მაყურებელი ბლომად გვყავს და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდებაო.

ეს კიდევ არაფერი.

ზოგიერთი იმასაც ამბობდა, მაყურებელი რომ მოგვიმრავლდა, სწორედ იმიტომ ჩამოვრჩითო.

იმდენი სინანული და ირონია იყო ამ სიტყვებში, იოლად მიხვდებოდით: ამ გადაკრული ლაპარაკის მიღმა არეული საქმეები იმალებოდა.

არეული საქმე კი, მოგეხსენებათ, ყველა ერთმანეთს ჰგავს, ყოველგვარი ჩამორჩენის სათავე უყურადღებობაა.

აფროსნებიც თურმე ამას ჩიოდნენ: გულშემატკივრებმა გვიგანეს, ჩვენზე ზრუნვას ჩვენი გასაჭირის შორიდან ყურება არჩიესო.

გულშემატკივრებში, რა თქმა უნდა, ხელის გამმართავთ, ქომაგებს, ერთი სიტყვით, პატრონებს გულისხმობდნენ, იმათ, ვისი მისამართითაც რესპუბლიკის სპორტსახკომის დადგენილებაში ნათქვამია:

პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების, სხვა უწყებების, სამინისტროებისა და ორგანიზაციების მხრივ აფროსნობის პრობლემებით დაუინტერესებლობის, სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე კვალიფიციური კონტროლის შესუსტების, საიალქნო კლუბების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შეფერხების, რეზერვებთან უსისტემო მუშაობისა და რესპუბლიკური ფედერაციის უმოქმედობის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის საიალქნო სპორტში არასახარბიელო ვითარება შეიქმნა.

კონკრეტულად — ამ ვითარების შესახებ.

საქართველოში აფროსნობას ოთხი მისამართი აქვს — თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ფოთი.

ჯერჯერობით სხვებზე უკეთ ბათუმელი აფროსნები დაბინავდნენ. ქალაქში საიალქნო სპორტის განვითარებას პროფკავშირული სპორტსაზოგადოება ხელმძღვანელობს, სპორტსმენები „ვოდნიკის“ ბაზაზე მეცადინეობენ. ეს საიალქნო კლუბი რამდენიმე წლის წინ განახლდა, მისი აღჭურვის დონე დამაკმაყოფილებელია, იგრძნობა, რომ საქართველოს ზაზღვაო სანაოსნო სათანადო ყურადღებას აქცევს მას. ბათუმელ აფროსნებთან მწვრთნელთა ექვსკაციანი ჯგუფი მუშაობს. ნავებით, კატარღებით და საწვავსაპოხით ბაზის სრული უზრუნველყოფა, ცხადია, ბოლომდე არ მოგვარებულა, მაგრამ საჭიროსა და არსებულს შორის სხვაობა, სხვა კლუბებთან შედარებით, აქ საგრძნობლად მცირეა. ბუნებრივია, ბათუმელები, რომლებიც სხვებზე უკეთ „ცხოვრობენ“, უკეთესადაც ასპარეზობენ — ისინი ბოლო წლების რესპუბლიკურ შეჯიბრებათა გუნდური პირველობის უცვლელი ლიდერები არიან.

მეორე ადგილისთვის, ტრადიციულად, სოხუმელი და ფოთელი აფროსნები იბრძვიან.

ბოლო ერთი-ორი წელია, ამ ქალაქებში საქმე დაიძრა. ფოთში, სადაც აფროსნობაში სამეცადინოდ საუკეთესო ჰიდრომეტეოროლოგიური პირობებია, შარშან ნაწილობრივ ჩადგა მწყობრში ქალაქის ნავსადგურის საიალქნო კლუბი. ამ ბაზის პროექტი სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს — ამიტომაც აირჩიეს ფოთის საიალქნო კლუბი ოლიმპიური მომზადების ერთ-ერთ საუწყებო ცენტრად. კლუბის აშენებამდე აქ მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალება, ცხადია, არ იყო. ბუნებრივია, ეს ბაზის მოწყობა-მოწესრიგების დასრულებამდე და მისი ე. წ. „მატერიალური ნაწილით“ სათანადოდ უზრუნველყოფამდეც შეუძლებელი იქნება. ჯერჯერობით აქ პროფკავშირული სპორტსაზოგადოების 2 ჯგუფის მეცადინეობას ერთი მწვრთნელი უძღვება.

აფროსნობის განვითარებას სოხუმშიც პროფკავშირების სპორტული ბაზები ემსახურებიან. ორ საიალქნო კლუბში („ამრა“ და „შუქურა“) ამჟამად მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლებიც მალე დასრულდება.

მართალია, „ამრა“, რეკონსტრუქციამდეც მშვენივრად გამოიყურებოდა — ბაზაზე მოწყობილი იყო საიალქნო სახელოსნო, საშხაპეები, გასახდელები, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა არ ტარდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბაზაზე ერთი მწვრთნელიც არ მუშაობდა. „მწვრთნელის შტატს ველირსოთ და მერე ჩვენ ვიცითო“ — ერთი წლის წინ გვითხრეს ბაზის მუშაკებმა, ყოფილმა სპორტსმენებმა. სამწუხაროდ, ვითარება დღემდე არ შეცვლილა — ვეტერანი აფროსნები სპორტისთვის უქმად ცდებიან და დღესაც შტატების „დაშვებას“ ელიან, ამ კარგი ბაზის ეფექტიანობა კი მხოლოდ გამაჯანსაღებელი მუშაობით ამოიწურება.

რამდენიმე წლის წინ სოხუმში საიალქნო კლუბი „შუქურა“ რომ გვეძებნათ, ნამდვილად გაწვალდებოდით. რამდენჯერ ავუარ-ჩავუარეთ იმ ადგილს, სადაც სოხუმელი აფროსნები გვეგულებოდნენ, მაგრამ მათი სამყოფელის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენით. რას ვიფიქრებდით, ის ქოხმახი, თავისი უბადრუკობით რომ იპყრობდა გამვლელთა ყურადღებას, საიალქნო კლუბი თუ აღმოჩნდებოდა... ცოტაც და, ამ ადგილზე ლამაზი, თანამედროვე ბაზა წამოიმართება.

სოხუმში კიდევ ერთი საიალქნო კლუბია. ეს ბაზაც ნავსადგურის ბალანსზეა. იგი ჩვენი „ვინდგლაიდერისტების“ (აფრიანი დაფით მოასპარეზეთა) აღზრდის მთავარი კერაა. ამ საიალქნო კლუბის სპორტულ რაზმში გაერთიანებულია სამი მწვრთნელი და სამოცი აღსაზრდელი.

ერთი შეხედვით, ყოველივე ზემოთქმული არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მდგომარეობას არასახარბიელო ვუწოდოთ, მაგრამ, გვერწმუნეთ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. რაზეც ვილაპარაკეთ, ის, ფაქტობრივად, ზედაპირია, თანაც, ბოლოდროინდელი მეცადინეობით გაკრიალებული. მოგეხსენებათ, ყველაზე სარწმუნო საბუთი ციფრებია, ამიტომ, ჩვენი აფროსნობის დღევანდელი მძიმე მდგომარეობის ნა-



თელსაყოფად შემდეგ მონაცემებს მოვიშველიებთ: დადგენილების მიღების პერიოდში რესპუბლიკაში 7 დაწყებითი, 5 სასწავლო-საწვრთნელი, 3 სპორტული დაოსტატებისა და ამდენივე უმაღლესი სპორტული ოსტატობის ჯგუფები აღირიცხა. აი, სულ ეს არის ჩვენი აფროსნობა! არადა, საქართველოს ბუნებრივ პირობებს, რესპუბლიკის სპორტული მეურნეობის შესაძლებლობებს და სადღეისო მოთხოვნებს თუ გავითვალისწინებთ, დაახლოებით, ეს ძალზე ცოტაა. უფრო სწორად, ცოტაზე ნაკლებიც — 7 დაწყებითი და 5 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფით სრულფასოვანი სპორტული დაოსტატების სისტემის შექმნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ჩვენი აფროსნობის ბალავერის სისუსტე ანუ დაწყებითი და სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფების სიმცირე, ადვილი მისახვედრია, საიალქნო კლუბების ხელმოკლეობით აიხსნება. ეს ხელმოკლეობა, რომელსაც საქმიანი ქაღალდების ენაზე არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ეწოდება, ცხადია, სპორტსახკომის დადგენილებაშიც აისახა და მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტული ღონისძიებებიც დაისახა: სოხუმში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაუმჯობესდეს საიალქნო კლუბების ნავებით მომარაგება. რა ხანია, ბათუმელებს ბაზის გაფართოება სურთ — მათ უნდა გადაეცეთ „განთიადის“ ძველი ელინგის ტერიტორია „ვინდგლაიდერის“ კლასში დაწყებითი ჯგუფის გასახსნელად. უნდა მოეწყოს საიალქნო და მექანიკური სახელოსნოებიც. ბათუმელებს ალბათ ნავების გადასაზიდი ავტომობილიც გადაეცემათ. დროულად უნდა დასრულდეს ფოთის საიალქნო კლუბის მშენებლობა და გაიზარდოს დაწყებითი ჯგუფების რაოდენობა. აქ ამჟამად სამი კლასის 8 ნავი და 4 აფრიანი დაფა აქვთ, ასე რომ, ფოთელთა „ფლოტი“ ალბათ საკმაო რაოდენობის ახალი ნავებით შეივსება, გათვალისწინებულია ამწეების დამონტაჟება ნავების გადასაზიდი კონსტრუქციით, სამსაჯო ინვენტარით და აფროსანთა სპეცტანსაცმლით ფოთის ბაზის უზრუნველყოფა.

ახლა — ჩვენი აფროსნობის ყველაზე დიდ სატკივარზე — იმაზე, თუ როგორ „წაიშალა“ თბილისი რესპუბლიკის აფროსნობის რუკიდან.

ზემოთ ვთქვით, აფროსნობა უყურადღებობამ ჩამოარჩინაო. უყურადღებობაც არის და ჩამორჩენაც. თუ ზღვისპირეთში ერთმაც და მეორემაც გვარიანად უკან დაგვწია, თბილისში უარესი მოხდა: ის, რამაც თბილისელი აფროსნები წლობით ნაპირზე გარიყა, უყურადღებობაზე მეტია. ვისაც თბილისის ზღვის საიალქნო კლუბი უნახავს, მკვახესიტყვაობაში არ ჩამოგვართმევს — მავანთა და მავანთა უსულგულობა და სიბეცე რომ არა, მტრისა და მოყვრის თვალს ერთნაირად ასარიდებელ ძველ, პატარა ფიცრულსა და მოუწყობელ ტერიტორიას ამ ხნის მანძილზე საქართველოს დედაქალაქის საიალქნო კლუბი არ უნდა რქმეოდა. თბილისელი აფროსნების ბინა ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ ნორმატიულ მოთხოვნებს — არა აქვს გასახდელები, სახელოსნოები, ამწეები, მოუწყობელია სანაპირო; კლუბი არ მარაგდება წყლით — საშხაპეს ვინ დაეძებს, ზაფხულში წყურვილით გაწამდებით. აქაურობა, ფაქტიურად, მოწყვეტილია ქალაქს: საქალაქო ტრანსპორტით მას ვერსაიდან მიუდგებით, ვერც ტელეფონით დაუკავშირდებით. კლუბის თანამშრომლების — ყოფილი აფროსნების — და რამდენიმე მოზარდის ენთუზიაზმი რომ არა, თბილისში სპორტული აფროსნობის ხსენებაც არ იქნებოდა — დიდი ხნის განმავლობაში ქალაქის არც ერთი სპორტული ორგანიზაცია (უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 რესპუბლიკური სკოლის გარდა) ზედაც არ უყურებდა აფროსნებს, თბილისში ერთი მწვრთნელიც არ იყო (უფრო სწორად, ერთი მწვრთნელის შტატიც „ვერ გამოიძებნა“), დაწყებით ან სასწავლო-საწვრთნელ ჯგუფებთან რომ იმუშავებდა. არადა, იყო დრო, საქართველოს ნაკრები ძირითადად თბილისელი აფროსნებით კომპლექტდებოდა, [illegible] რესპუბლიკის აფროსნობის ლიდერი იყო დიდხანს, [illegible] თბილისელი აფროსნების მდიდარ ტრადიციებზე, მათი „პატარა სარბიელის“ (თბილისის ზღვის) დიდ შესაძლებლობებზე ისიც მეტყველებს, რომ საიალქნო კლუბთან ნაყოფიერად მუშაობს მცირე საკრეისერო ანუ არაოლიმპიური კლასის ნავების ძლიერი სექცია. ეს სექცია ჩამოაყალიბეს იმ თბილისელმა ვეტერანებმა, რომლებიც თავის დროზე რესპუბლიკისა და ქალაქის ღირსებას იცავდნენ. სწორედ მათ წრეში აღიზარდა საქვეყნოდ ცნობილი აფროსანი გურამ ბიგანიშვილი. ძველი აფროსნები, დღეს უკვე სხვადასხვა პროფესიის, ასაკის და თანამდებობის ადამიანები, ყოველწლიურად აწყობენ თბილისის ზღვის თასის გათამაშებას მცირე საკრეისერო ნავებს შორის და მათი ეს მეცადინეობა რომ არა, თბილისში აფროსნობას მაჯისცემაც არ გაესინჯებოდა.

სპორტსახკომის დადგენილებაში, ცხადია, სათანადო ყურადღება დაეთმო იმ კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმას, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს თბილისში აფროსნობის აღორძინების საშურ და საშვილიშვილო საქმეს. გათვალისწინებულია თბილისის ზღვის საიალქნო კლუბისა და მისი ტერიტორიის კეთილმოწყობა, სატელეფონო კავშირის დამყარება, კლუბისთვის ავტობუსის გადაცემა, მისი ნავებითა და სხვა აუცილებელი „მატერიალური ნაწილით“ უზრუნველყოფა, თბილისელი მოზარდების მიზიდვისა და აფროსნობაში ჩაბმის მიზნით ზღვის დასავლეთ ნაპირზე (თემქის დასახლების მხარეს) საიალქნო კლუბის „საბავშვო ფილიალისთვის“ ტერიტორიის გამოყოფა.

დასასრულ, აუცილებლად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რაზეც, ალბათ, სხვა შემთხვევაში თავს შევიკავებდით. ყველა დადგენილება ცხოვრებით არის ნაკარნახევი, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ცხოვრება გვკარნახობს სიფრთხილეს — სიტყვა და საქმე ხშირად დაცილებია ერთმანეთს, ვინ მოთვლის, უნიათო და გულგრილი მუშაკების ხელში მოხვედრილი რამდენი სამოქმედო დოკუმენტი ქცეულა მტვერწაყრილი ქაღალდების გროვად? დადგენილების მიღება ვიღას უხარია, ყველას მისი შესრულება, საქმე ადარდებს. ჩვენი აფროსნობის მოსაღონიერებლად გათვალისწინებულ ამ დადგენილებას კი საიალქნო სპორტის მოყვარულნი აშკარა ენთუზიაზმით შეხვდნენ, და აი, რატომ: დადგენილების მიღებამ ერთგვარად დააგვირგვინა ის სასიკეთო ძვრები, რომლებიც ამ ბოლო დროს განხორციელდა. ზოგიერთზე უკვე მოგახსენეთ, ზოგზეც ახლა ვიტყვით — დიდი ხნის „შესვენების“ შემდეგ რესპუბლიკის სპორტსახკომში კვლავ დაინიშნა მთავარი მწვრთნელი აფროსნობაში, გადახალისდა რესპუბლიკური ფედერაციის შემადგენლობა, არჩეულ იქნა ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი თავმჯდომარე, ერთი სიტყვით, აფროსნებს გულშემატკივრები „დაუბრუნდნენ“. ისინიც გამოცოცხლდნენ, იმედი მიეცათ, სჯერათ, რომ ამჯერად მაინც არ უღალატებენ, მათი წილი ყურადღება არ მოაკლდებათ. ღმერთმა ქნას, იმედი არ გასცრუებოდეთ, საერთო ინტერესები თუ გვამოძრავებს, ასეც უნდა მოხდეს.

**თამაზ მიგრიაული.**

## ათივე რაიონის მონაწილეობით

**თბილისის** საბინაო მეურნეობის სამმართველომ (უფროსი თეიმურაზ მეგრელაძე) მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჯანმრთელობის V სპარტაკიადა ჩაატარა. მასში მონაწილეობდა დედაქალაქის ათივე რაიონის საბინაო საექსპლოატაციო ტრესტების ნაკრები გუნდები. შეჯიბრებები გაიმართა სპორტის 8 სახეობაში: მინი-ფეხბურთში, პნევმატური შაშხანის სროლაში, ცურვაში, ტურისტულ მრავალჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში, საოჯახო შეჯიბრებაში „მთელი ოჯახით სტარტზე“.

საერთო გუნდურ ჩათვლაში კარგად იასპარეზეს და პირველი ადგილი დაიკავეს გლდანის რაიონის მცხოვრებლებმა (ტრესტის მმართველი ირაკლი კიკნაძე, ინსტრუქტორ-მეთოდისტი ზურაბ ოშაყმაშვილი). მეორე ადგილი მოიპოვა პირველი მაისის რაიონის საბინაო საექსპლოატაციო ტრესტმა, მესამე — ოქტომბრის რაიონის საბინაო საექსპლოატაციო ტრესტმა.

**ლევან ჟურაშვილი,**
**თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.**

## მწერლები ჭადრაკის დაფებთან

საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილებაში ერთ თვეს მიმდინარეობდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი.

13-13 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ჯემალ ინჯიამ და ვაჟა დადიანიძემ, III ადგილი 9 ქულით წილად ხვდა შოთა მახარობლიძეს. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: ალექსანდრე ტაბატაძე — 5,5 ქულა, თენგიზ კობერიძე, ლუარსაბ ვარდანაშვილი — 4-4. ტურნირის მსაჯი სპორტის ოსტატი გურამ მთვარელიძე გახლდათ.

**ილია თევდორაშვილი.**
„ლელოს“ კორ.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

**გასული** წლის 24 დეკემბერს „ლელომ“ კრიტიკული რუბრიკით „ლახტის წრეში“ დაბეჭდა წერილი „დღესასწაული... ავანსად“. რომელშიც ლაპარაკი იყო ხუდადოვის ქუჩაზე, რუხის დასახლებაში მდებარე თბილგვირაბმშენის სამმართველოს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბაზაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

თბილგვირაბმშენის ხელმძღვანელობა, პარტიული კომიტეტი და პროფკავშირების გაერთიანებული კომიტეტი გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება და გაერთიანებულ კრებაზე უკვე ვიმსჯელეთ ამ ნაკლოვანებებზე.

მოკლე დროში ელექტროენერგიით მომარაგებაში შეფერხებები ალბათ აღარ გვექნება. ტაგანროგის ქარხანას უკვე შევუკვეთეთ საცურაო აუზის ფილტრი, შესაბამის ორგანოებთან ვშუამდგომლობთ, რათა საქვაბე გაზგაყვანილობას შევუერთოთ. შედგენილია სააღჯო ინვენტარის სია.

ამა წლის პირველი კვარტლის დასასრულს კომპლექსი რადიოფიცირებული იქნება, მოწესრიგდება კალათბურთის და ჩოგბურთის კორტები. საზაფხულო სეზონის დაწყებამდე კი, ვფიქრობთ, ყველა ნაკლოვანება დაძლეული იქნება.

**„დღესასწაული... ავანსად“**

**ბ. ფაჩულია,**
„თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

**ბ. სონღულაშვილი,**
პარტბიუროს მდივანი.

# საქართველომ დაიმსახურა...

(დასასრული)

**მპიონთან შეხვედრის შესაძლებლობას. არც ის უნდა იყოს სწორი, რომ ასეთი დაძაბული ტურნირის შემდეგ დამატებითი მატჩისა თუ მატჩ-ტურნირისთვის მოსამზადებლად, უფრო სწორად, დასასვენებლად, სამად სამი დღეა დადგენილი.**

— შუა ტურნირში, როცა უკვე გამოჩნდა გარკვეული შანსები, ვთქვი, რომ ყველა მოჭადრაკე ქალი, ვინც მსოფლიო პირველობის ციკლში მონაწილეობს, ვალდებულია პროტესტი განაცხადოს ფიდე-ს წინაშე.

**⊙ შეჯიბრების სხვა მონაწილეებზე რას იტყვით?**

— ყველასთვის მოულოდნელი და გულდასაწყვეტი იყო ნონა გაფრინდაშვილის წარუმატებლობა. მას ჩემს მთავარ კონკურენტად ვთვლიდი და შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ გამეხარდებოდა კიდეც გაფრინდაშვილის ასეთი „ჩავარდნა". მინდა დაგარწმუნოთ, რომ მსგავსი რამ გულშიც არ გამივლია. ალბათ ყველამ განვიცადეთ ნონას წარუმატებლობა, რასაც ვერაფრით ვხსნი.

მთელი ტურნირი ძლიერად ჩაატარა ახმილოვსკაიამ და მისგან სხვა შედეგს ალბათ ბევრი არც მოელოდა.

ნანა ალექსანდრიამ ისეთი გულდასაწყვეტი მარცხი განიცადა ირინა ლევიტინასგან, რომ მისი გადატანა ალბათ ყველას გაუჭირდებოდა. ამას გრიპიც დაერთო...

მარტა ლიტინსკაიას სუსტ ფსიქოლოგიურ მომზადებაზე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. რაც შეეხება ირინა ლევიტინას, მას თავისი უამბიციობა ღუპავს. ქეთევან არახამიას და აგნეშკა ბრუსტმანს კი ჯერ ყველაფერი წინა აქვთ.

**⊙ I წრეში ძალიან სუსტად გამოხვედით. რაში იყო საქმე?**

— ძალიან ვნერვიულობდი. მერე კი ის უფრო მაღიზიანებდა, ამდენ სითბოს რომ ვგრძნობდი გარშემომყოფთაგან და ყველა კი გაწბილებული მრჩებოდა. აქვე ერთი რამ მინდა გითხრათ — დიდი ბრიტანეთის მოჭადრაკეებს შორტსა და სპილმენს, პრეტენდენტები რომ გახდნენ, ჰკითხეს, ყველაზე მეტად ვის გაეხარდა თქვენი წარმატებაო. — ინგლისელ მოჭადრაკეებსო, — უპასუხეს დიდოსტატებმა... ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყოველ წუთს ვგრძნობდი ჩვენი მოჭადრაკეების უსიტყვო, უხმო მხარდაჭერას. დიდი მადლობა ყველას, ვინც შეგნებულად თუ ქვეცნობიერად ზურგს მიმაგრებდა.

გარდა ამისა, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მწვრთნელებს ვიტალი ცეშკოვსკისა და იაკობ ლაპიდუსს. ტურნირისთვის მზადებაში ძალიან დიდი დახმარება გამიწია თამაზ გიორგაძემ, გულშემატკივრებისგან ყოველდღიურად მომდიოდა დეპეშები, ხშირად მირეკავდნენ...

**⊙ ისევ მომავალ მატჩს დავუბრუნდეთ. სად ისურვებდით თამაშს?**

— მე მგონი საქართველომ დაიმსახურა, რომ მსოფლიო პირველობის მატჩი მთლიანად საქართველოში ჩატარდეს.

**ესაუბრა დავით ჭელიძე.**

---

**საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობის წინ**

# თუ თანადგომაც გვექნება...

**პირადად** მე პრაქტიკოსად მიმაჩნია თავი და ძალიან მომწონს დღევანდელი მოთხოვნები, საჯაროობა, დემოკრატია. მათ მართლაც არაფერი აქვთ საერთო ფორმალიზმსა და სიყალბესთან. სულ ნახევარი წელიწადია მოვედი ახალ სამუშაოზე პროფკავშირში და ვცდილობ, რაც შეიძლება ქმედითი და შინაარსიანი გახდეს ჩვენი საქმიანობა. თავიდანვე სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადეთ მიწერებს — წლის დამდეგს გამართულ თათბირზე, რომელსაც ჩვენი 180-მდე ფიზკულტურის მეთოდისტი ესწრებოდა, პირდაპირ გამოვაცხადეთ, რომ ამიერიდან სტატისტიკურ ანგარიშებს გადაამოწმებენ ჩვენივე საბჭოს აპარატის მუშაკები, მკაცრად და ობიექტურად შეაფასებენ წარმოდგენილ მასალებს. სწორედ ამჟამად ვამოწმებთ წლიურ ანგარიშებს და კმაყოფილებით გეტყვით, რომ ჯერჯერობით სიყალბე არსად შეგვხვედრია.

რა დასამალია, ჩვენი რესპუბლიკა ჯერ კიდევ ვერ დაიკვეხნის ნამდვილ მასობრიობას ფიზკულტურასა და სპორტში. შრომით კოლექტივებში რატომღაც ჰგონიათ, რომ სარბიელზე მხოლოდ მუშა-ახალგაზრდობა უნდა გამოვიდეს. ხელმძღვანელები თავს არიდებენ ღონისძიებებს, რითაც კოლექტივს, ცხადია, ცუდ მაგალითს აძლევენ. ამიტომაცაა, რომ ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ მივიდეთ ყველა დიდ დაწესებულებაში, წარმოებაში, სასწავლებლებში და გულახდილად ვისაუბროთ, ასე ვთქვათ, ვიქადაგოთ ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობაზე, მის სიკეთეზე და აუცილებლობაზე. ვფიქრობთ, ასეთი მეცადინეობა დადებით შედეგს გამოიღებს.

აუცილებლად მიმაჩნია, ეს საკითხი დავსვით კიდეც ჩვენს პირველ კონფერენციაზე, რომ თბილისის ათივე რაიონში პროფკავშირის ხაზით შეიქმნას სათანადო ფიზკულტურულ-სპორტული რგოლები, რაც საშუალებას მოგვცემს, ასე ვთქვათ, დავტვირთოთ, განსაკუთრებით შაბათ-კვირას, ჩვენი ქალაქის პრაქტიკულად ყველა უბანი. გარდა ამისა, თვეში ერთხელ მაინც, უნდა ჩატარდეს დიდი მასობრივი სპორტული ღონისძიებები. გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ფიზკულტურასა და სპორტის პროპაგანდასაც. თუ საქმეში თანადგომაც გვექნება, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ თბილისში სპორტის მასობრიობის საკითხი დადებითად გადაიჭრება. ეს კი, რა თქმა უნდა, ეგრეთ წოდებულ, დიდ სპორტსაც წაადგება.

**ნანა ბალაშვილი,**

**პროფკავშირული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი სათხილამურო რბოლაში. სოფლის საკავშირო ზამთრის I თამაშების ვერცხლის პრიზიორი, სპორტის ოსტატი.**

---

# შეიქმნა ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაცია

**ჩვენს** რესპუბლიკაში პირველად თხუთმეტიოდე წლის წინ, ქუთაისში დაინერგა ბალახის ჰოკეი.

1973 წლიდან დღემდე საქართველოში რამდენიმე გუნდი ჩამოყალიბდა, მაგრამ სათანადო პირობების უქონლობისა და უყურადღებობის გამო ახლა მოზრდილთა მხოლოდ ერთი კოლექტივი გვყავს — ქუთაისის „ლოკომოტივის" ვაჟთა გუნდი. ქუთაისელები რამდენიმე წელია საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში ასპარეზობენ, თბილისში, ბათუმსა და ლანჩხუთში კი ჩამოყალიბებულია ჭაბუკთა რამდენიმე კოლექტივი.

რა თქმა უნდა, გავრცელების ასეთი არეალით ამ სახეობაში რაიმე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. მართალია, ამიერკავკასიაში პირველად ქუთაისში აშენდა შესანიშნავი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, წელს დაარსდა საქალაქო სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა რეგბისა და ბალახის ჰოკეის სპორტსკოლა, მეტ ყურადღებას გრძნობენ როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდები, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ეს საკმარისი არ არის — თითებზე ჩამოსათვლელი ჯგუფებით ბალახის ჰოკეის მასობრიობას ვერ გავზრდით. არადა, ბალახის ჰოკეი ოლიმპიური სახეობაა და შეტანილია სსრ კავშირის ხალხთა საზაფხულო სპარტაკიადის, ჭაბუკთა და ახალგაზრდული თამაშების პროგრამებში.

ბალახის ჰოკეის განვითარებას დიდად აფერხებდა ისიც, რომ 15 წლის განმავლობაში არ ჩამოყალიბებულა ამ სახეობის რესპუბლიკური ფედერაცია.

და აი, რესპუბლიკის სპორტსახკომის თაოსნობით ეს საქმეც მოგვარდა. ამას წინათ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაციის დამფუძნებელი კრება. ეს ღონისძიება ქუთაისში შემთხვევით არ გამართულა — საქართველოში პირველად აქ დაინერგა ბალახის ჰოკეი, ქუთაისის „ლოკომოტივის" ბაზაზე დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები, აქაურ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები საკავშირო თამაშებზე იასპარეზებენ. ეს პირველი შემთხვევაა ქართული სპორტის ისტორიაში, როდესაც რესპუბლიკური ფედერაცია ჩამოყალიბდა არა თბილისში, არამედ იქ, სადაც სპორტის ეს სახეობა გაცილებით უკეთ არის განვითარებული.

ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ დ. წერეთელმა. სპორტის ამ სახეობაში არსებულ პრობლემებზე და მომავლის ამოცანებზე ილაპარაკა რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. ბაგრატიონმა.

ღია კენჭისყრით ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე რ. რობაქიძე.

**თამაზ ხარაბაძე.**

**(„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი).**

**ქუთაისი.**

---

# ბათუმის „დინამო" ახალი სეზონის წინ

**არც ისე დიდი დრო დარჩა სსრ კავშირის I ლიგის საფეხბურთო გათამაშების სტარტამდე. ამ შეჯიბრებაში მეხუთედ აიღებს სტარტს ბათუმის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი.**

**ამას წინათ „ლელოს" ბათუმელი კორესპონდენტი შეხვდა ბათუმის „დინამოს" უფროს მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ვალერიან ჩხარტიშვილს და მკითხველთა სახელით სთხოვა ეამბნა, თუ რა მდგომარეობაა გუნდში, რა გეგმები აქვს დასახული კოლექტივს, რა მეთოდებით ცდილობენ მის განხორციელებას.**

**ტრადიციული შეკითხვა: რა სიახლეებია გუნდში?**

— გუნდი სხვადასხვა მიზეზით დატოვეს ცენტრალურმა მცველმა ამირან ანდღულაძემ, ნახევარმცველი თამაზ კიკლიაშვილი თბილისის „დინამოში" გადავიდა, თამაშს თავი დაანებეს ვეტერანმა ფეხბურთელებმა ავთანდილ გორგილაძემ და რევაზ შელიამ, — თქვა ვ. ჩხარტიშვილმა, — სამაგიეროდ, მივიღეთ ახალი შევსება. მალხაზ მახარაძე ლანჩხუთის „გურიიდან" დაუბრუნდა კოლექტივს, ქუთაისის „ტორპედოდან" გადმოვიდა თავდამსხმელი მელორ ბიგვავა. სამხედრო სამსახურის შემდეგ ჩაირიცხნენ გუნდში მცველი ვალერი შანიძე, ნახევარმცველი როსტომ თორდაშვილი, ცენტრალური თავდამსხმელი დათო მახარაძე. მათს გარდა გუნდთან ერთად ვარჯიშობენ „დინამოს" საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები დათო უჯმაჯურიძე, ედნარ არშბა, ილო გოგიტიძე და ფეხბურთის სკოლის აღსაზრდელი ვანო მახარაძე.

ახლა კი გუნდის ძირითად ბირთვს გაგაცნობთ: მეკარეები ასლან ბალაძე და დავით კუცია, მცველები ამირან გოგიტიძე, ტარიელ დურდიაძე, გოჩა ჩიქოვანი, ნახევარმცველები ლევან ბარათაშვილი, ჯუმბერ მენაბდე, აკაკი ათუაშვილი, თავდამსხმელები გრიგოლ ზედანია, გივი ქობელაშვილი, პაატა მაჭუტაძე, მიხეილ მასურაძე.

გუნდმა შეკრება 4 იანვარს დაიწყო. პირველი ეტაპი მან 15 თებერვლამდე ბათუმში დაჰყო, ხოლო მეორე ეტაპზე 15 თებერვლიდან ბულგარეთს გაემგზავრა საწვრთნელი თამაშების გასამართავად იქაური პირველი და მეორე ლიგების გუნდებთან. მესამე დასკვნითი ეტაპი კვლავ შავი ზღვის სანაპიროზე და ბათუმში გაიმართება.

ძირითად ყურადღებას ვუთმობთ ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებას, ტექნიკის დახვეწას და სათამაშო დისციპლინის ამაღლებას.

12 მარტს ბათუმის „დინამო" ოფიციალურ მატჩებში მიიღებს მონაწილეობას სიმფეროპოლში, პირველი ლიგის თასზე. წლეულს სტარტიდანვე უნდა ვიბრძოლოთ წარმატებისთვის და ამთავითვე დავაგროვოთ ქულები მაღალი ადგილის დასაკავებლად. პირველ სამ სეზონში, როგორც ცნობილია, ჩვენმა გუნდმა ერთი და იგივე მეთერთმეტე ადგილი დაიკავა, მაგრამ შარშანდელ სეზონში უამრავი ხარვეზი გვქონდა, ამიტომაც ფრიად შეუფერებელი მე-19 ადგილი დავიკავეთ. ერთი სიტყვით, ძლივს შევინარჩუნეთ ადგილი პირველ ლიგაში. წლეულს რომ უკეთესად გამოვიდეთ, გუნდი მრავალი საფიქრალისა და საზრუნავის წინაშე დგას. შარშანდელი შეცდომები საფუძვლიანად გავაანალიზეთ და კონკრეტული ღონისძიებებიც დავსახეთ.

7 აპრილს ბათუმის „დინამო" პირველ კალენდარულ მატჩში საკუთარ მინდორზე შეხვდება კემეროვოს „კუზბასს", ხოლო 10 აპრილს — ცსკა-ს. ეს მეტოქეები ანგარიშგასაწევი ძალაა ჩვენთვის.

ახლა ბათუმის „დინამოს" უფროსია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ცინარიძე, მწვრთნელები — გურამ ქორიძე და ვალერი მაჩხელიანი (სელექციონერი).

როგორც ხედავთ, მოთამაშეთა და გუნდის ხელმძღვანელთა შორის ცვლილებები საკმარისია, შევეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ სეზონის წარმატებით ჩასატარებლად.

**ოთარ მურვანიძე.**

**(„ლელოს" კორ.).**

---



# პრიზიორები ნაკრების კანდიდატთა სიაში

**კლასიკური** სტილის ახალგაზრდა მოჭიდავეთა საკავშირო შეჯიბრებას, რომელიც კრასნოდონში ჩატარდა, წლეულს სულ სხვა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. იგი წარმოადგენდა ევროპის მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთ შესარჩევ ტურნირს. სწორედ ამიტომ, მასში მონაწილეობის სურვილი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვის, ლენინგრადის 250-მა მოჭიდავემ გამოთქვა.

კრასნოდონს ჩვენი რესპუბლიკის 20 ათლეტი ეწვია: ათი — არმიელი იყო, ხუთი „დინამოელი" და კიდევ ამდენი „შრომითი რეზერვებიდან". წინასწარ ვიტყვით, რომ საქართველოს ათლეტები კარგად გამოვიდნენ — შვიდმა საპრიზო ადგილი დაიკავა. ასეთი წარმატებისთვის ისინი საკავშირო ნაკრების კანდიდატთა სიაში ჩარიცხეს. ამ ტურნირში გამარჯვებული კოლექტივის გამოვლენა არ ხდება, მაგრამ, არაოფიციალურად ასეთ ჩათვლას ყველა აწარმოებდა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ადგილები შემდეგი თანამიმდევრობით განაწილდა: საქართველო, რუსეთის ფედერაცია და სომხეთი.

ახლა რამდენიმე სიტყვა უფრო დაწვრილებით პრიზიორებზე, პირველ ყოვლისა კი, გამარჯვებულებზე:

თბილისის არმიელს კობა გულიაშვილს მოჭიდავეთა წრეში აქამდე იცნობდნენ, როგორც 57 კგ კატეგორიის ათლეტს. ამ ტურნირში მან ძალა 62 კგ-ში სცადა. არადა გამოცდა საკმაოდ ძნელი და პასუხსაგები იყო, ვინაიდან პირველობისთვის 36 ათლეტი იბრძოდა.

გულიაშვილმა კრასნოდონის სარბიელზე რვავე შეხვედრა მოიგო: სამი — ქულებით, სამი — წმინდად და ორში მისი მეტოქე პასიურობისათვის მესამე გაფრთხილების შემდეგ მოხსნეს. ესეც ფაქტიურად წმინდა გამარჯვებაა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კობა გულიაშვილის ორი ორთაბრძოლა. მეშვიდე წრეში ევროპის ჩემპიონ ისკანდერ ილიასოვთან (უზბეკეთი) იგი შეხვედრას ხუთი ქულით აგებდა. პირველი პერიოდი სწორედ ასეთი ანგარიშით — 5:0 დამთავრდა. მეორე პერიოდში ქართველმა მოჭიდავემ გასაოცარი ნებისყოფა და მობილიზების უნარი გამოავლინა, მეტოქეს 10 „მშრალი" ქულა აართვა და, შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა 10:5.

მეორე ბრძოლა, რომელზეც მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ, ფინალური იყო, სადაც პირველი ადგილის ბედი წყდებოდა. გულიაშვილის მეტოქე მინსკელი ევგენი ანდრუხოვიჩი თავდაპირველად ბრძოლისთვის იყო განწყობილი, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ყრუ დაცვაზე გადავიდა, მიიღო სამი გაფრთხილება და მსაჯებმა მოხსნეს სარბიელიდან.

90 კგ-ში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იყო ქუთაისის დინამოელი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში გივი კოღუაშვილი. მისი გამოსვლაც საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა. ხალიჩაზე აქტიური მოქმედებით კოღუაშვილი ფაქტიურად გასაქანს არ აძლევდა მეტოქეებს. სწორედ ამიტომ მისი ოთხი „ოპონენტი" მსაჯებმა შეხვედრის დამთავრებამდე მოხსნეს. ერთი შეხვედრა ქართველმა მოჭიდავემ წმინდად მოიგო და ორიც — ქულებით.

ფინალში კოღუაშვილის მეტოქე თბილისის არმიელი რამაზ გადაბაძე იყო. შეხვედრისთვის განკუთვნილი 6 წუთი უშედეგოდ დამთავრდა (მეტოქეებს 2-2 გაფრთხილება ჰქონდათ). დამატებით დროში ქუთაისელმა მოჭიდავემ ქულა აართვა თანაგუნდელს და პირველი ადგილი დაიკავა. გადაბაძეს II ადგილი ერგო, მესამეზე კი თბილისის არმიელი ნაიბი დვალაძე გავიდა. ამ წონაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა კიდევ ერთმა თბილისელმა უშანგ ქობულაძემ („შრომითი რეზერვები").

ზემოჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა საპრიზო ადგილები მოიპოვეს: 48-კგ-ში თბილისის არმიელმა გელა პაპაშვილმა (II ადგილი), 74-კგ-ში — თბილისის დინამოელმა ამირან სვანიძემ (II ადგილი), 100 კგ-ში თბილისის არმიელმა კარო ქახიანმა (II ადგილი).

საკავშირო ტურნირში მოპოვებული ორი პირველი, ოთხი — მეორე და ერთი მესამე ადგილი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მოჭიდავეთა კარგ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

აშშ-ის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში

# კარგი სტარტი

**სან-ანტონიო.** აქ დაიწყო აშშ-ს ქალთა ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ტურნირში მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი სპორტსმენი გამოდის, მათ შორის ჩვენი პლანეტის პირველი ნომერი ჩოგანი შტეფი გრაფი (გფრ), რომელსაც აგერ უკვე ხუთი კვირაა მონაწილეობა არ მიუღია ოფიციალურ შეჯიბრებებში. გრაფმა თავისი „დებიუტი" ამ ტურნირში გამარჯვებით აღნიშნა — ტამი მაკგრეგორი (აშშ) ორ პარტიაში დაამარცხა — 6:1, 6:2.

წარმატებით აილო სტარტი თბილისელმა ლეილა მესხმაც. პირველ წრეში მან ასევე ამერიკელ როზალინ ფაირნბანქს აჯობა, მაგრამ ბრძოლა ამჯერად უფრო მძაფრი და დაძაბული იყო და გამარჯვებულის გამოვლენას სამი პარტიის ჩატარება დასჭირდა — 7:6, 2:6, 6:4.

აშშ-ს მეორე ქალაქ უიჩიტაში (კანზასის შტატი) დაიწყო „ვირჯინია სლიმსის" სერიის ტურნირი. საბჭოთა სპორტსმენებმა აქაც კარგად დაიწყეს: ნატალია ბიკოვამ ავსტრალიელი დიანა ბალესტრატი დაამარცხა (7:6, 6:1), სვეტლანა პარხომენკომ კი გფრ-ის წარმომადგენელი კლაუდია პორვიკი (6:4, 6:2).

# სპორტული მარტი

**2-4. წყალბურთი.** სსრკ ჩემპიონატი (I ლიგა, I წრე, II ტური). **თბილისი.**
**2-4. ბატუტზე ხტომა.** საქართველოს პირველობა 1971 და უფრო გვიან დაბადებულ ჭაბუკთა და გოგონათა შორის. **თბილისი.**
**2-25. ჭადრაკი.** საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის. **თბილისი.**



**2-5. მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს პირველობა. მეორე ტური. I ლიგა — **ქუთაისი,** II ლიგა — **თელავი.**
**2-6. მშვილდოსნობა.** 8 მარტისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური შეჯიბრება. **თბილისი.**
**2-23. შაში.** საქართველოს ღია ჩემპიონატი ქალთა შორის (I-II ეტაპი). **თბილისი.**
**3. კალათბურთი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. **თბილისი.**
**3-9. საგზატკეცილო ველორბოლა.** საკავშირო ტურნირი აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიზზე. **სოხუმი.**
**4-7. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი 1970-1971 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ხაშური.**
**4-8. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1970-71 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **გორი.**
**7-11. ხასტენდო სროლა.** საქართველოს თასი. **თბილისი.**
**7-12. სპორტული ტანვარჯიში.** გ. ევნატაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.**
**10-14. მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს პირველობა (II ტური, III ლიგა). **კასპი.**
**10.III-1.IV. ჭადრაკი.** საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი (I ლიგა). **თბილისი.**
**11-14. სამბო.** საქართველოს პირველობა სამხედრო-პატრიოტულ კლუბებში გაერთიანებულ 1975-76 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ტყიბული.**
**12-21. საგზატკეცილო ველორბოლა.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და საკავშირო შეჯიბრება (კრიტერიუმი), მრავალდღიანი რბოლა. I-II ტური. ვაჟები. **სოხუმი.**
**14-19. წყალბურთი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. II წრე, IV ტური. **თბილისი.**
**15-20. ცხენოსნობა.** ამიერკავკასიის რესპუბლიკების თასზე. (პარალელურად საქართველოს პროფკავშირების ჩემპიონატი) **თბილისი.**
**18-21. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი. I ზონა. **გორი.**
**21-27. ფრენბურთი.** საქართველოს პირველობა მინიფრენბურთში ჭაბუკთა შორის. **სოხუმი.**
**24-30. ფრენბურთი.** საქართველოს პირველობა მინიფრენბურთში გოგონათა შორის. **გუდაუთა.**
**24-27. ძიუდო.** საერთაშორისო ტურნირი ანზორ კიკნაძის პრიზზე 1971-73 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**
**25-28. კალათბურთი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის. I ლიგა. **თბილისი.**
**25-29. კალათბურთი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი 1970-71 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**
**26.III-2.IV. რეგბი.** საქართველოს პირველობა 1972-73 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **მახარაძე.**



**27-31. თანამედროვე ხუთჭიდი.** საკავშირო შეჯიბრება რესპუბლიკური ფედერაციის პრიზზე 1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**
**27.III-4.IV. სამთო სათხილამურო სპორტი.** საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები. **გუდაური.**

**შენიშვნა: კალენდარში შესულია ის სპორტული შეჯიბრებები, რომელიც ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე.**

# ოლიმპიური მოზაიკა

**იტალიელ** სამთომოთხილამურე ალბერტო ტომბაზე ამბობენ რკინის ნერვები აქვსო. აი, სწორედ ეს რკინის კაცი ოლიმპიადის დღეებში ორჯერ ატირდა — როცა სლალომში გამარჯვებისთვის ოქროს მედლებს გადასცემდნენ. ჩემთვის ეს ჯილდო ისეთი ძვირფასია, რომ ნერვებს ვერაფერი . მოვუხერხე, — თქვა მან. მერე კი დასძინა: მაგრამ კატარინა ვიტს ოლიმპიადის ბოლო დღეს ოქროს მედალი რომ არ მოეგო, უსათუოდ ჩემსას დავუთმობდი, ისე მომწონს ეს გერმანელი ფიგურისტი.

**ოლიმპიადის** ორგანიზატორებმა გამოაცხადეს. რომ თამაშების დამთავრების შემდეგ მთელი ქონება გაიყიდებაო. კანადელებს მხედველობაში აქვთ 40 ათასამდე ნივთი (აფიშები, მაგიდები, სკამები, სავარძლები, ტელეფონის აპარატები, კარადები და სხვ.), რაც მეტნაკლებად ოლიმპიადასთან არის დაკავშირებული. ორგანიზატორთა აზრით ეს ნივთები ჯერ ერთი პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ ისინი, ამავე დროს, თეთრი ოლიმპიადის სუვენირებიცაა.

**კანადის** პოლიციამ დააკავა ბილეთების სპეკულანტთა დიდი ჯგუფი. ეს მოხდა ასე: გადაცმულ პოლიციელს ერთმა სპეკულანტმა 170 დოლარად ღირებული 4 ბილეთი 550 დოლარად მიჰყიდა. ბოროტმოქმედმა დაკითხვის შემდეგ გასცა თანამზრახველთა დიდი ჯგუფი, რომელიც ტეხასიდან ჩამოსული 80 „საქმოსნისაგან" შედგებოდა.

— **ის იყო** სავალდებულო პროგრამის შესრულება დავიწყე, — იგონებს ამერიკელი ფიგურისტი ბრაიან ბოიტანო, — რომ ვიღაც გულშემატკივარმა თითქმის ყურში ჩამძახა — მიდი ბოიტანო, ჩვენ შენი იმედი გვაქვს. ამ ღრიალმა იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ სამი სავალდებულო ფიგურა ზედიზედ გავაფუჭე. ამიტომ ყველა ფიგურისტს ვურჩევ: სავალდებულო ვარჯიშს ტრიბუნასთან ახლოს ნურასდროს დაიწყებს.

**ამერიკელ** ბიატლონისტს ჯო ტომპსონს, რომელიც მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორი იყო, საქმე გაუფუჭა... საკუთარმა პრესამ. პრესა, რადიო, ტელევიზია სულ მის მომავალ გამარჯვებაზე ლაპარაკობდა. ამან ტომპსონზე იმდენად უარყოფითად იმოქმედა რომ.. მეორე ათეულშიც ვერ მოხვდა.

**ოლიმპიური** კინოფილმის გადაღება ორგანიზატორებმა ცნობილ ამერიკელ კინორეჟისორს ბად გრინსპენს დაავალეს. „ორსაათიან ფილმში მთავარი როლი არა სპორტულ შეჯიბრებებს აქვს განკუთვნილი, არამედ ადამიანს" — განაცხადა რეჟისორმა. ამ მიზნით ჩვენ ექვსი განსხვავებული პიროვნება შევარჩიეთ და თამაშების ფონზე მათი ხასიათი გვინდა გავხსნათ. ფილმის პრემიერა მერმისს, მარტში შედგება.



**შოტლანდიის** „გლაზგო რეინჯერსი" აგრძელებს უცხოელი ფეხბურთელების იმპორტს. ამას წინათ, გუნდი დატოვა ინგლისელმა ფორვარდმა მარკ ფალკომ (იგი ინგლისში დაბრუნდა), მაგრამ ხელმძღვანელობა ამ ფაქტმა სრულიადაც არ შეაწუხა. საფრანგეთის „პარი-სენ-ჟერმენიდან" მოიწვიეს ინგლისელი ნახევარმცველი რეი უილკინსი, რომელმაც მწვრთნელთა აზრით უნდა შეადუღაბოს ნახევარდაცვა. ამავე მიზნით დანიის ჩემპიონ „ბრონდბიუდან" შეისყიდეს მოიერიშე მცველი იან ბარტრამი.

**წლევანდელ** სეზონში ავსტრიის კლუბები რამდენიმე უცხოელი მოთამაშით გაძლიერდა. მათ შორის ყველაზე ძვირადღირებული აღმოჩნდა არგენტინის ნაკრებისა და ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტეს" თავდამსხმელი ხოსე ალბერტო პერკუდანი. იგი ვენის „აუსტრიაში" ჩაირიცხა და 1990 წლამდე იქ დარჩება. კლუბმა მილიონ ნახევარი დოლარი გადაიხადა.

„მიოდლინგში" ითამაშებს ჩრდ. ირლანდიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი (1982 წ. მსოფლიო ჩემპიონატზე) სემი მაკილროი, რომელიც ბოლო ხანებში ინგლისის „ბურიში" გამოდიოდა.

**შვეციის** „გიოტებორგში" ცვლილებებია. სეზონის დაწყების წინ გუნდის სამმა წამყვანმა მოთამაშემ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. ესენია მეკარე ვერნერსონი, მცველი ფრედრიქსონი და ნახევარმცველი ტორდ ჰოლმგრენი. მეკარის პრობლემა უკვე გადაწყდა. გფრ-ის „ბორუსია მიონხენგლადბახიდან" გადმოვიდა ნორვეგიის ნაკრების მეკარე ერიკ ტორსტვედტი, რომელმაც უკვე ითამაშა „გიოტებორგის" შემადგენლობაში თებერვლის პირველ რიცხვებში (სიდნეიში გუნდმა ავსტრალიის ნაკრები დაამარცხა — 1:0).

„გიოტებორგის" უშუალო მოწინააღმდეგემ ქვეყნის პირველობაში „მალმიომაც" ორი მოთამაშე დაკარგა. ესენია შვეციის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ინგემარ ერლანდსონი და მცველი ჩელ იონსონი.

**კარლ-ჰაინც** რუმენიგე და მარკო ტარდელი კვლავ გამოვიდნენ მინდორზე. მილანის „ინტერნაციონალემ" აღარ განაახლა მათთან კონტრაქტი და ორივე ფეხბურთელი შვეიცარიაში გადაბარგდა. და აი, მორიგ ტურში „სერვეტისა" და „სენტ გალენის" მატჩში ისინი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. რუმენიგეს კლუბმა „სერვეტმა" გაიმარჯვა — 3:1. თვით კარლ-ჰაინცმა კი პირველი გოლი გაიტანა შვეიცარიაში. სხვათა შორის, ამავე ჩემპიონატში გამოდის 1982 წლის ჩემპიონი იტალიელი ჯან-კარლო ანტონიონი (იგი „ლუცერნში" თამაშობს).

და კიდევ ერთი სიახლე. დანიელი ლარს ლუნდე, რომელიც ადრე („იანგ ბოისი") შვეიცარიის საუკეთესო ბომბარდირი იყო, შემდეგ კი მიუნხენის „ბაიერნში" თამაშობდა, კვლავ დაბრუნდა შვეიცარიაში და ახლა აქ აპირებს კარიერის გაგრძელებას („აარაუში").

**მიუნხენის** „ბაიერნის" მენეჯერმა ული ჰიონესმა განაცხადა, რომ ბრემენის „ვერდერიდან" ფრანკ ნოიბარტის შეძენა სურს. საქმე ისაა, რომ „ბარსელონიდან" დროებით „ნათხოვარი" უელსელი მარკ ჰიუზი გაზაფხულზე უკან უნდა დაბრუნდეს. ჰიონესის აზრით ნოიბარტი და ალჟირელი მაჯერი გუნდის დამრტყმელ ძალად უნდა იქცნენ.

**ავსტრიის** ნაკრების ახალმა მწვრთნელმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა განაცხადა, რომ ნაკრებში აღარ მიიწვევს „ტიროლის" ცნობილ მცველს ბრუნო პეცეის, რომელიც ასაკის გამო ვეღარ აკმაყოფილებს მწვრთნელის მოთხოვნებს (პეცეი 31 წლისაა). მით უფრო საკვირველია ჰიკერსბერგერის გადაწყვეტილება ამ ადგილზე ჰერბერტ ვებერი ათამაშოს, რომელსაც 33 წელი უსრულდება.

**(საკუთარი ინფორმაცია).**

# „ლეიკერსი" წინ გაიჭრა

**კალათბურთის** ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატმა ეკვატორი გადალახა. გუნდებმა უკვე გამართეს 44-44 მატჩი. სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ატლანტიის ოკეანის დივიზიონი: „ბოსტონ სელტიქსი" (32 გამარჯვება), „ფილადელფია — 76" (20), „ვაშინგტონ ბულიტსი" (17), „ნიუ-იორკ ნიკერსბოკერსი" (16), „ნიუ-ჯერსი ნეთსი" (10). ცენტრალური დივიზიონი: „ატლანტა ჰოუქსი" (30), „ჩიკაგო ბულსი" (27), „დეტროიტ პისტონსი" (25), „კლივლენდ კავალიერსი" (23), „მილუოკი ბაქსი" (22), „ინდიანა პეიზერსი" (22). შუა დასავლეთის დივიზიონი: „დალას მავერიქსი" (28), „დენვერ ნაგითსი" (26), „ჰიუსტონ როკეტსი" (25), „იუტაჰ ჯაზი" (22), „სან-ანტონიო სპურსი" (18), „საკრამენტო კინგზი" (14), წყნარი ოკეანის დივიზიონი: „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" (35), „პორტლენდ თრეილ ბლეიზი" (26), „სიეტლ სუპერსონიქსი" (25), „ფენიქს სანზი" (13), „გოლდენ შტატ უირივორს" (10), „ლოს-ანჯელეს კლაიპერს" (10).

ბოლო ტურის შედეგები: „იუტაჰ ჯაზი" — საკრამენტო — 123:91. დენვერი — დალასი — 115:105. ფილადელფია — გოლდენ შტატი — 96:84 .კლივლენდი — ვაშინგტონი — 107:106. ბოსტონი — ინდიანა — 118:103. ჩიკაგო— ფენიქსი 113:101. ნიუ-იორკი — დეტროიტი — 100:93. დენვერი— სან-ანტონიო — 129:123. საკრამენტო — დალასი — 118:101. მილუოკი — ბოსტონი — 111:101. ინდიანა—ფილადელფია — 109:95. გოლდენ შტატი — კლივლენდი— 96:90. ატალანტა — სიეტლი — 119:109. იუტაჰი — პორტლენდი — 126:123. ჰიუსტონი — ნიუ ჯერსი — 115:87. ლეიკერსი — ლოს-ანჯელეს-კლაიპერსი 117:86.

დიდ ინტერესს იწვევდა დასავლეთის დივიზიონის ლიდერების „დენვერ ნაგითსისა" და „დალას მავერიქსის" შეხვედრა. მაიკლ ადამსის ხუთი სამქულიანი სროლის შედეგად გაიმარჯვა დენვერმა (შეგახსენებთ, რომ პროფესიონალებში სამქულიანი სროლის ზღვარი 7 მ 25 სმ უდრის). ბოლო ტურის მთავარი სენსაცია იყო ერთ-ერთი აუტსაიდერის „საკრამენტო კინგზის" გამარჯვება „დალას მავერიქსთან", რასაც დიდად შეუწყო ხელი რეჯი თეუსის (23 ქულა, 16 შედეგიანი გადაცემა) ბრწყინვალე თამაშმა. მილუოკმა საკუთარ მოედანზე მოუგო სახელგანთქმულ „ბოსტონ სელტიქსს", რაც მიმომხილველთა აზრით იმით აიხსნება, რომ მასპინძლებმა შეძლეს ბოსტონის ლიდერის ლარი ბერდის ნეიტრალიზება. იუტაჰმა კარლ მალონეს (41 ქულა, დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ 19 ბურთს, 7 შედეგიანი გადაცემა) ბრწყინვალე თამაშის შედეგად დაამარცხა პორტლენდი.

„ფენიქს სანზთან" მატჩში კვლავ გამოიჩინა თავი მაიკლ ჯორდანმა



(37 ქულა), რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ ბრწყინვალედ ითამაშა აღმოსავლეთის და დასავლეთის ვარსკვლავთა მატჩი ჩიკაგოში. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" დამაჯერებელი გამარჯვება „ლოს-ანჯელეს კლიპერსთან" შეხვედრაში, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. კვლავ კარგად ითამაშა სახელგანთქმულმა „მაჯიკ" ჯონსონმა (18 ქულა, 11 შედეგიანი გადაცემა, 10-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს). საერთოდ, მიმომხილველთა აზრით, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" ბოლო ტურებში შესამჩნევად მოუმატა თამაშს. ამ მხრივ აღსანიშნავია „ლეიკერსის" ლამაზი გამარჯვება „ჰიუსტონ როკეტსთან" — 121:110. „მაჯიკ" ჯონსონმა გუნდს 39 ქულა შესძინა.

აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს არიზონას უნივერსიტეტის გუნდი.

**მერაბ კალანდაძე.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 2 მარტი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 2 მარტი.** კალათბურთის ვარსკვლავები — **22.50.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სპორტსახკომი, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციები, ვეტერანი მოჭიდავეები და გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობენ სპორტის დამსახურებულ ოსტატ გივი კარტოზიას, შვილის

**ქეთი კარტოზიას**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05221